




ავტორები: დავით კუშელავა, იასია ბაბიჩი

**გლობალურ ბაზარზე სურსათისა და საწვავის ფასების გაძვირება ინფლაციაზე მოქმედებს და საქართველოს ზრდის პროგნოზებსაც კარგს არაფერს უქადის**



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა განაახლა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზი 2022 წლის პირველი და მეორე კვარტლებისთვის. ქვემოთ მოცემულია ამ თვის განახლებების ძირითადი მიგნებები.

**ძირითადი მიგნებები:**

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) 2021 წლის მეოთხე კვარტლის რეალური მშპ-ის ზრდის წინასწარი მონაცემი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ზრდის საშუალო მაჩვენებელი 9.5%-ს შეადგენს, რაც 1.4 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის უახლეს ანგარიშში მითითებულ პროგნოზს.
- 2021 წელს მშპ-ის რეალური ზრდის წლიური მაჩვენებელი 10.6%-ს გაუტოლდა, რაც ჩვენს უახლეს პროგნოზთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით დაბალია.



- უკანასკნელი განახლების შედეგად, 2022 წლის პირველი კვარტლისთვის მშპ-ის ზრდის პროგნოზმა იანვრის თვის ანგარიშში მითითებული 7.4%-დან 5.9%-მდე დაიწია. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პირველადი პროგნოზით, 2022 წლის მეორე კვარტლის მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი უარყოფით 3.9%-ს გაუტოლდება (უარყოფითი შედეგი, როგორც ქვემოთ არის ახსნილი, ნაწილობრივ, 2021 წლის მეორე კვარტლის მაღალი საბაზო ეფექტითაა განპირობებული, როდესაც ზრდის მაჩვენებელმა 28.9%-ს მიაღწია).
- დეკემბრის მონაცემების მიხედვით, ყველაზე ცუდი სცენარის შემთხვევაში, 2022 წელს წლიური ზრდის მოსალოდნელი მნიშვნელობა 1.7%-ია, ხოლო საუკეთესო სცენარის ანუ გრძელვადიან პერიოდში ზრდის საშუალო მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში – 2.7%. ჩვენი შუალედური სცენარით (რომელიც ბოლო ოთხ კვარტალში ზრდის საშუალო მაჩვენებელს ეფუძნება) რეალური მშპ-ის ზრდა 2.1%-ს გაუტოლდება.
- აღსანიშნავია, რომ ჩვენი ეკონომეტრიული მოდელი მხოლოდ რეტროსპექტულ ინფორმაციას (წარსულის დაკვირვებებს) ეფუძნება, შესაბამისად, 2021 წლის მეორე კვარტალში მშპ-ის რეალური ზრდის უჩვეულოდ მაღალმა ტემპმა (რაც ნაწილობრივ საბაზო ეფექტმა და დაგროვილმა მოთხოვნამ განაპირობა), შესაძლოა, 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზის არასათანადოდ შეფასება გამოიწვიოს.
- საქართველოს ეროვნული ბანკის (NBG) ახალი მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის თანახმად, ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 2022 წლისთვის კვლავ 5%-ს შეადგენს. ზრდის ეს ვარაუდი გაზრდილმა ფისკალურმა ხარჯებმა, საკრედიტო აქტივობების ზრდამ და საგარეო შემოსავლების მატებამ (ტურიზმის ჩათვლით) განაპირობა.

მშპ-ის ზრდის პროგნოზს საფუძვლად შემდეგი ცვლადები უდევს:

**საქონლით საგარეო ვაჭრობა.** დეკემბერში საქართველოს ექსპორტმა 28.8%-იანი წლიური ზრდა განიცადა, რაც, ძირითადად, ფეროშენადნობის (14.4 პროცენტული პუნქტით), სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (4.0 პროცენტული პუნქტით) და მინერალური და ქიმიური სასუქების (3.3 პროცენტული პუნქტით) გაზრდილი ექსპორტისა და რეექსპორტის მაჩვენებლებით იყო განპირობებული. ამის საპირისპიროდ, წლიური ვარდნა განიცადა მსუბუქი ავტომობილების (0.1 პროცენტული პუნქტით), ნატურალური ყურძნის ღვინოების (0.4 პროცენტული პუნქტით), ალკოჰოლური სასმელების (0.5 პროცენტული პუნქტით), მინერალური წყლის (0.1 პროცენტული პუნქტით), მედიკამენტების (0.2 პროცენტული პუნქტით), თხილისა (0.2 პროცენტული პუნქტით) და ციტრუსის (0.3 პროცენტული პუნქტით) ექსპორტმა და რეექსპორტმა.

ამ პერიოდის განმავლობაში საქონლის იმპორტი 26.3%-ით გაიზარდა, რაც უმეტესად საწვავისა და ნავთობპროდუქტების (4.5 პროცენტული პუნქტით) და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (3.2 პროცენტული პუნქტით) გაზრდილმა იმპორტმა განაპირობა. შედეგად, საგარეო სავაჭრო დეფიციტმა საგრძნობლად მოიმატა წლიური 24.6%-ით და 618.5 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. საერთო ჯამში, ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი დადებითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის ზრდის პროგნოზებში.



**ფულადი გზავნილები.** დეკემბერში ფულადი გზავნილები **14.9%**-ით გაიზარდა წლიურ ჭრილში და **229.5** მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა ნაწილობრივ საბანკო გზავნილების გამოყენების გაზრდილმა სტატისტიკამ განაპირობა, რამაც საზღვარზე თანხის ფიზიკურად გადატანა ჩაანაცვლა, რაც, უმეტესწილად, კოვიდ-რეგულაციებით იყო გამოწვეული). აღნიშნულ ზრდაში მაღალი წვლილით გამოირჩეოდნენ შემდეგი ქვეყნები: ყაზახეთი (წლიურ ჭრილში – 368.4%, მთლიან ზრდაში – 5.3%), იტალია (წლიურ ჭრილში – 19.1%, მთლიან ზრდაში – 3.0%), ყირგიზეთის რესპუბლიკა (წლიურ ჭრილში – 296.6%, მთლიან ზრდაში – 2.2%), აშშ (წლიურ ჭრილში – 19.5%, მთლიან ზრდაში – 2.2%), გერმანია (წლიურ ჭრილში – 39.1%, მთლიან ზრდაში – 1.6%) და ისრაელი (წლიურ ჭრილში – 13.8%, მთლიან ზრდაში – 1.1%), მეორე მხრივ, თანხების შემოდინებამ იკლო საბერძნეთიდან (წლიურ ჭრილში – 8.6%, მთლიან ზრდაში – 1.0%), თურქეთიდან (წლიურ ჭრილში – 17.9%, მთლიან ზრდაში – 0.9%), უკრაინიდან (წლიურ ჭრილში – 17.5%, მთლიან ზრდაში – 0.8%) და რუსეთის ფედერაციიდან (წლიურ ჭრილში – 2.5%, მთლიან ზრდაში – 0.5%). *საერთო ჯამში, ფულადი გზავნილების ნაკადის აღდგენამ დადებითი წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდაში.*

**ტურიზმი.** ტურისტული მგზავრობები (ჩამოფრენები) და შემოსავლები 2021 წლის დეკემბერში, 2020 წელს მკვეთრად დაცემის შემდეგ, მხოლოდ ნაწილობრივ აღდგა. დეკემბერში საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი წლიური გამოთვლებით **226.4%**-ით გაიზარდა (თუმცა 2019 წლის იმავე თვესთან შედარებით 69.9%-ით შემცირდა), ხოლო ტურისტების რაოდენობის (კერძოდ, იმ ვიზიტორებისა, რომლებმაც **24** საათი ან მეტი გაატარეს საქართველოში) ზრდამ **239.1%**-ს მიაღწია. *საერთო ჯამში, ვიზიტორებისა და ტურისტების ეტაპობრივად მზარდმა რაოდენობამ, ტურისტული შემოსავლების ზომიერი ზრდის პარალელურად, მცირედი პოზიტიური წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროგნოზებშიც.*

**რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER).** დეკემბერში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) თვიური მაჩვენებლით **4.0%**-ით და წლიური გამოთვლებით **20.5%**-ით გაიზარდა. ლარის რეალური გაცვლითი კურსი (RER), თვიური მაჩვენებლით გამყარდა სხვა დიდი პარტნიორი სახელმწიფოების ვალუტასთან მიმართებით: თურქულ ლირასთან – 15.3%-ით, ევროსთან – 2.1%-ით, რუსულ რუბლთან – 2.2%-ით და აშშ დოლართან – 1.2%-ით. უფრო მეტიც, ლარი/თურქული ლირის, ლარი/ევროს, ლარი/აშშ დოლარის და ლარი/რუბლის რეალური გაცვლითი კურსი წინა წლის იმავე თვის კურსთან მიმართებითაც გამყარდა, შესაბამისად, **55.2%**, **23.8%**, **12.9%**, და **11.0%**-ით. *საერთო ჯამში, REER-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი დადებითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებში.*

**ფულის მასა.** ფულის მასის ყველა აგრეგატი, გარდა ვიწრო ფულისა, (M0-ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული), წლიურად შესამჩნევ ზრდას განიცდის. M2 და M3 ფულის მასის აგრეგატების წლიურმა ზრდამ, შესაბამისად, **17.8%** და **11.3%** შეადგინა. ამასობაში, შედარებით ზომიერად შემცირდა მიმოქცევაში არსებული ვალუტა – წლიური **1.6%**-ით. თუმცა ვიწრო ფული (M0 აგრეგატი) წლიურ ჭრილში **5.1%**-ით შემცირდა. *საერთო ჯამში, ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, ფულის მასასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი დადებითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის რეალურ ზრდაში 2022 წლის პირველ და მეორე კვარტლებში.*

**ინფლაცია.** დეკემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია **13.9%**-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივ **3%**-ს მნიშვნელოვნად აღემატება (2011 წლის შემდეგ მაქსიმალურ მნიშვნელობას მიაღწია). სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ინფლაციის დაახლოებით **4.7** პროცენტული პუნქტი საკვების მომატებულმა



ფასებმა განაპირობა, კერძოდ, საკვების ფასი წლიურად 16.1%-ით გაიზარდა (რაც მსოფლიოს მასშტაბით საკვების ფასების ზრდით იყო გამოწვეული – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი წლიურად 23.5%-ით გაიზარდა). გარდა ამისა, გაზრდილმა საწვავის ფასმაც საგრძნობლად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა (1.9 პროცენტული პუნქტი) წლიური ინფლაციის მაჩვენებელში. **აღნიშნული ტენდენცია, უმეტესწილად, მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაზრდილი საწვავის ფასების ანარეკლია (ევრო ბრენტის ფასი (COP) წლიურ ჭრილში 48.4%-ით გაიზარდა).** სხვა მნიშვნელოვან ხელისშემწყობ ფაქტორად იქცა გაზრდილი ფასები კომუნალურ გადასახადებზე, რომელმაც 3.6 პროცენტული პუნქტი შეადგინა, რაც 2 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა თვის მაჩვენებელს<sup>1</sup>. ამავდროულად, საბაზო ინფლაცია 6.0%-ს გაუტოლდა. მიზნობრივ 3%-ზე უფრო მაღალი წლიური ინფლაციის მაჩვენებლისა და ინფლაციური მოლოდინების გაძლიერების რისკების გათვალისწინებით, NBG-მა 2021 წლის დეკემბერში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (MPR) 0.5 პროცენტული პუნქტით გაზარდა და მისი მნიშვნელობა 10.5%-ს გაუტოლა. MPR 2022 წლის თებერვალში უცვლელი დარჩა (შესაბამისად, NBG მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებას აგრძელებს). *საერთო ჯამში, CPI-სთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი წვლილი შეიტანა მშპ-ის პროგნოზში.*

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.

<sup>1</sup> აღნიშნული უმეტესწილად განპირობებულია კომუნალური გადასახადების სუბსიდირების სამთავრობო პროგრამის დასრულებით.